უფასო

ბაღდათი გაზეთი

27 დეკემბერი
2019 წელი

№9 (46)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

სრულიად საქართველოს და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მშვიდობა, სტაბილურობა და წარმატება მოეტანოს 2020 წელს.

გასული 2019 წელი ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის საინტერესო და ნაყოფიერი წელი იყო.

ვიმედოვნებთ, რომ ახალი წელი გამოწვევებისა და სიახლეების მომტანი იქნება.

სრულიად საქართველოს ვუსურვებ გამთლიანებას, წინსვლას და წარმატებებს.

არჩილ გოგსაძე,
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

ბაღდათის მუნიციპალიტეტს და მთლიანად ჩვენს ქვეყანას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს!

2020 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, სიყვარულისა და სიკეთის მომტანი. გისურვებთ წარმატებას, ბედნიერებას თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს.

გასული 2019 წელი მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, განხორციელდა ბევრი პროექტი ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული მიმართულებით. 2020 წელს ჩემთვის ისევ იქნება პრიორიტეტი ახალგაზრდებთან მეტი კომუნიკაცია და მათი ხედვების, იდეების გათვალისწინება ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. სწორედ თქვენი, მომავალი თაობების ჩართულობით შევძლებთ ჩვენი მუნიციპალიტეტი უფრო წარმატებული გავხადოთ სხვადასხვა მიმართულებით. ვისურვებდი, რომ ეს წელი ყოფილიყოს ჩვენი სურვილების ასრულების და, რა თქმა უნდა, ყველა ქართველის ოცნების – ჩვენი ქვეყნის გაერთიანების წელი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2020 წელს! გისურვებთ დღეგრძელობას და სულიერ სიმშვიდეს.

შალვა მშვილდაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემო ბაღდათელებო! მინდა ყველას მოგილოცოთ დამდეგი 2020 წლის შემობრძანება. გისურვებთ მშვიდობას, ბედნიერებას, წარმატებებს. კეთილდღეობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს. საუკეთესო სურვილებით მინდა მივულოცო ახალი წლის დადგომა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს – მასწავლებლებს, ჯარისკაცებს, პოლიციელებს, ექიმებსა და ყველას, ვინც უანგაროდ და თავდაუზოგავად ემსახურება ჩვენს სამშობლოს. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეებს, სამშობლოში დაბრუნებასა და ცხოვრების ღირსეულად გაგრძელებას ვუსურვებ მათ. მრავალ ახალ წელს დაესწარით ბაღდათელებო!

კოგა ლურსმანაშვილი
ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის №2 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე ბაღის საძირკველი რკინა-ბეტონით მოეწყო. ამჟამად შენობის კედლები ამოჰყავთ. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „ბანი“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 562 000 ლარს შეადგენს. სოფელ დიმის №2 საბავშვო ბაღი ორ ჯგუფზეა გათვლილი და დაახლოებით 50-მდე ბავშვს მიიღებს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდინარე ხანისწყალზე არსებულ ე.წ. ზედა დიმის ხიდს, რომელიც ქალაქ ბაღდათს ექვს სოფელთან აკავშირებს, 2020 წელს სრული რეაბილიტაცია ჩუტარდება. ხიდის საპროექტო სამუშაოები უკვე დაწყებულია, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ივლისის №1695 განკარგულებით საქართველოს გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

ART ბაღდათი 2019

2019 წელი ა.(ა).ი.პ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრისთვის საკმაოდ აქტიურად და ნაყოფიერად დაიწყო. ცენტრი მეორე წელია სხვა შემადგენლობით ფუნქციონირებს. აქ არის გაერთიანებული ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა, საინფორმაციო სამსახური, სამოლაშქრეო სექტორი, ინოვაციური ცენტრი, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმი და რევაზ ლაღიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრი. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს და არის ისეთი ღონისძიებების ორგანიზატორი, რომლებიც პირველად ჩატარდა ჩვენს მუნიციპალიტეტში. გთავაზობთ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიერ 2019 წელს განხორციელებულ აქტივობებს.

ბაღდათის კულტურის ცენტრი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2019 წელს არაერთი საინტერესო და საერთაშორისო ღონისძიება გაიმართა, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი ფოლკლორული სიმღერის, ქორეოგრაფიული და ცეკვის ანსამბლები, ასევე მოწვეული სტუმრები.

რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრმა ისეთ ანსამბლებსა და მომღერლებს უმასპინძლა, როგორებიცაა: ფოლკლორული ანსამბლი „ერთობა“, კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი, მომღერალი ბესიკ კალანდაძე, ირმა სოხაძე, მხოლოდ ქართულის ფინალისტი ნოდარიკო ხუციშვილი, „იუმორინა, „ორი ჯუჯა და მეგობრები“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ინიციატივით, ბაღდათში თოჯინების თეატრი აღდგა. პირველ წარმოდგენაზე დასმა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს უმასპინძლა სპექტაკლით „ბატის ჭუკი“. 26 დეკემბერს კი გაიმართა პრემიერა, ბავშვებს ახალი სპექტაკლი „ბუტია“ აჩვენეს.

კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „როდოპოლისი“ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის „ოქროს არგოს“ გრანპრის მფლობელი გახდა.

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახალხო თეატრში ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ტრიო „იმერეთის“ სოლო-კონცერტი გაიმართა. საბავშვო მუსიკალურმა თეატრმა „ირიდამ“ კულტურის ცენტრში მაყურებელს წარუდგინა თეატრალიზებულ-კოსტიუმირებული შოუ – „საშობაო ზღაპარი“ და „ჯადოსნური სიზმარი“.

ბაღდათის კულტურის ცენტრთან არსებულმა ხალხური სიმღერების გუნდმა „საირმემ“ მიმდინარე წლის იანვრიდან რეპერტუარს შემატა რამდენიმე ახალი სიმღერა.

მაისის დასაწყისში ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაცია, ლიტერატურული ფესტივალის „მაიაკოვსკის კვალდაკვალ –

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ.-ზე

ჩვენ ვაერთიანებთ მსოფლიოს“ ფარგლებში, გერმანიაში გაემგზავრა. აღნიშნული ფესტივალი ბაღდათში 2018 წლის ოქტომბერში ჩატარებული ეკო-არტ ფესტივალის „ბაღდათის ზეცას“ გაგრძელებაა და ვლადიმერ მაიაკოვსკის ცნობადობის ამაღლებას, მისი შემოქმედების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ნაყოფიერი აღმოჩნდა მიმდინარე წელი ბაღდათის სახალხო თეატრისათვის. იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე წარდგენილმა სპექტაკლმა „მონა“ (რეჟისორი: გიგა მიქაძე) დიდი მოწონება დაიმსახურა და თეატრალურ დასს სამი ნომინაცია მოაპოვებინა. მსახიობმა ლელა ჭრელაშვილმა გაიმარჯვა ნომინაციაში – ახალგაზრდა ქალის (დორის ლივაინი) როლის შესრულებისათვის, ბაღდათის სახალხო თეატრი საზოგადოება „ბაღის კიდეს“ სიმპათია გახდა და სიგელით დაჯილდოვდა. საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის ნომინაციაში გამარჯვებული სპექტაკლის რეჟისორი გიგა მიქაძე გახდა.

წელს ასევე გაიმართა ნუკრი კარკაძის საბავშვო სიმღერებისა და კლიპების პრეზენტაცია, პირველკლასელთათვის მიძღვნილი ღონისძიება “მე სკოლაში მივდივარ“, სპექტაკლის პრემიერა „ანტიგონე“, საერთაშორისო ღვინის ART-ფესტივალი და საახალწლო ღონისძიებები.

ბაღდათის საინფორმაციო სამსახური

2019 წლიდან დღემდე გამოსულია „ჩემი გაზეთის“ 8 ნომერი. ახალი სამუშაო წელი ნაყოფიერად დაიწყო. გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად დავიწყეთ ახალი რუბრიკა „წარმატებული ქალბატონები“. მისი მიზანია მკითხველს გააცნოს ბაღდათელი ქალბატონები, რომლებმაც თავიანთ საქმეში წარმატებას მიაღწიეს როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისე ქვეყნის მასშტაბით. შეიცვალა რუბრიკა „ნიჭიერი თაობის“ ფორმატი. განსაკუთრებული ნიჭის მქონე სკოლის მოსწავლეების გაცნობის შემდეგ გაზეთის გუნდი შეეცდება მკითხველს წარმატებული და საამაყო სტუდენტები გააცნოს. აქტიურად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეები: სოფლის მეურნეობა, კულტურა, სპორტი, განათლება, ჯანდაცვა და სხვა. „ჩემი გაზეთი“ თვეში ერთხელ გამოდის და ჩვენივე სამსახური უზრუნველყოფს მის გავრცელებას მოსახლეობაში.

გაზეთთან ერთად საინფორმაციო სამსახური ამუშავებს ოფიციალურ Facebook გვერდს – ბაღდათის საინფორმაციო ცენტრი, სადაც ყოველდღიურად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენები.

ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა მოემსახურა 1006 მკითხველს და მათზე გაიცა 18 117 სხვადასხვა სახის ლიტერატურა.

ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: სიყვარულის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარულით გამთბარი წუთები“; წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაკეთდა ვიდეოსიუჟეტი; მარტში მწერალ გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება, სადაც განვიხილეთ ნაწარმოები „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. განხილვაში ჩართულნი იყვნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორის მოსწავლეები.

განსაკუთრებით დატვირთული აპრილი აღმოჩნდა ბიბლიოთეკისთვის: გაიმართა ზვიად გამსახურდიას 80 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიება; 5, 6, 7 აპრილს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ ბიბლიოთეკარებისათვის მოაწყო სამდღიანი ტრენინგი თემაზე „ახალი საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკებში“. ტრენინგში ჩართულნი იყვნენ ცენტრალური და სოფლის ბიბლიოთეკების თანამშრომლები; აპრილში გაიმართა მუხრან მაჭავარიანის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ასევე გავიხსენეთ მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური; ჩატარდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი შემეცნებით-გასართობი ხასიათის ღონისძიება პირველკლასელთათვის.

მაისში ღონისძიებები გაიმართა როგორც ცენტრალურ, ისე სოფლის ბიბლიოთეკებში: 2-6 მაისის ჩათვლით, საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ სოფლებში (ფერსათი, წითელხევი, ობჩა) ჩაატარა მუხრან მაჭავარიანისადმი მიძღვნილი ღონისძიება; უმასპინძლა გამომცემლობა „პალიტრა L“-ს და მოეწყო წიგნების გამოფენა-გაყიდვა; ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მოეწყო ქართული მხატვრული ფილმის „ღიმილის ბიჭების“ ჩვენება; 26 მაისს ბიბლიოთეკა ჩაერთო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში, რომელიც ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში ჩატარდა.

წლის განმავლობაში ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბევრი აქტივობა განხორციელდა. ბიბლიოთეკამ უმასპინძლა 10 წლის ნიჭიერ მხატვარ ცოტნე მიქუტიშვილს. იგი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია. ბიბლიოთეკაში გაიმართა მისი ნახატების პერსონალური გამოფენა და ნაჩვენები იქნა ვიდეოფილმი პატარა მხატვრის შესახებ. 26 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ტრადიციულად მუნიციპალიტეტის ყველა პირველკლასელს უმასპინძლა; 6 ოქტომბერს „ევროპის მემკვიდრეობის დღეები 2019-ის“ ფარგლებში პატარებისთვის გაიმართა „პიჟამა ფართი“; აღინიშნა ილია ჭავჭავაძის 182-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება და გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია.

საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკა სისტემატიურად ეხმარება მკითხველებს ინტერნეტსივრცისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებაში. პერიოდულად მიმდინარეობს წიგნადი ფონდების დამუშავება-დაწყობა.

წელს შეიქმნა და ამოქმედდა ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი ოფიციალური ფეისბუქ გვერდი „Centreal Library of Bagdati-ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა“.

ვ.ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი

2019 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში აქტიურად მიმდინარეობდა შემოქმედებითი ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობა. კონსტანტინე კიკნაძის ავტორობით გამოიცა დოკუმენტალურ-ბიოგრაფიული ნაშრომი: „ტრაგედია ვლადიმერ მაიაკოვსკი“, ამავე დროს მუზეუმი ჩვეულებისამებრ მასპინძლობდა მაიაკოვსკის შემოქმედებით დაინტერესებულ ტურისტებსა და ადგილობრივ დამთვარიელებლებს. წლის განმავლობაში მუზეუმი დაათვალიერა 1358 სტუმარმა.

მუზეუმის მეცნიერმუშაკმა ზურაბ თოლორდავამ ფაქტობრივად დაასრულა მუშაობა წიგნზე „ბაღდათის ბარის სოფლის ტოპონიმები“. ასევე დასრულებულია მუშაობა ფილმზე: „ბაღდათის ისტორია“.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში ფუნქციონირებს ლიტერატურული სალონი, ამიტომ გარდა სამუზეუმო საქმიანობისა, აქ ტარდება სალონური ფორმის ლიტერატურული ღონისძიებები. კერძოდ, მაისში გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ივლისში აღინიშნა ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან 126 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება; სექტემბერში გაიმართა ზანდა იოსელიანის საიუბილეო საღამო; უკვე რამდენიმე წელია იმართება ღონისძიება „ღამე მუზეუმში“; აპრილში აღინიშნა ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ხსოვნა 89“; შემოქმედებითი ახალგაზრდული საღამო „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“; შეხვედრა პოეტ შორენა ლებანიძესთან, ასევე ახალგაზრდა პოეტებთან ნათია ჭინჭარაულსა და გიორგი ხარაიშვილთან.

ბაღდათის ინოვაციების ცენტრი

2019 წლის იანვრიდან დღემდე ბავშვებისა და მოზარდებისთვის ბაღდათის ინოვაციების ცენტრმა არაერთი პროექტი, შეხვედრა და ტრენინგი ჩაატარა, აღნიშნული ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში. ჩვენი ფორმატიდან გამომდინარე, სტატიაში მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე ვისაუბრებთ:

22 იანვრიდან დაიწყო ლეგო რობოტების კურსი. იანვარში ლეგო რობოტების ჯგუფში ირიცხებოდა 18 მოსწავლე.

თებერვალში, ბაღდათის მერიის ხელშეწყობით, ინოვაციების ცენტრის 12 აქტიური მოსწავლე გაემგზავრა ზუგდიდის ტექნოპარკში, სადაც მათ ჩაუტარდათ მასტერკლასი Little Bits-ებში. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2017“-ის ფინალისტმა უტა კილასონიამ ბავშვებს გააცნო არდუინოს ფუნქციები და ჩაუტარა ვორკშოპი.

ივლისში ამერიკელ მოხალისეებთან ერთად ინოვაციების ცენტრში ჩატარდა საზაფხულო ინოვაციური ბანაკი, სადაც მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა ბავშვმა. ბანაკი იყო ერთკვირიანი და მოიცავდა სხვადასხვა აქტივობას: ლეგო რობოტებისა და ლითლ ბითსების აწყობას, ბიზნესუნარების განვითარებას, ასევე დატვირთული იყო სახალისო დავალებებით. ბანაკი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: ლიდერობა, გუნდურობა, გადაწყვეტილების მიღება, დამოუკიდებლობა, ასევე ბიზნესუნარები.

აგვისტოში მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტმა, საქართველოს საუკეთესო ქართული ენის მასწავლებელმა ნათია ფურცელაძემ საზაფხულო ლიტერატურული კლუბის მეორე სეზონი ჩაატარა. კლუბის სამუშაო თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

რა არის ემოციური ინტელექტი; რა გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე ბავშვობისას წაკითხული წიგნები; ნაადრევი ქორწინება და მასთან დაკავშირებული პრობლემები; არგუმენტირებული ესეს წერის პრინციპები და სხვა.

რაც შეეხება მედია კლუბ Generation Z/ახალი თაობას, უფროსი ასაკის მოსწავლეებმა მომავალი თაობა, Generation Z Juniors-ი აიყვანეს გასაუბრებისა და ტესტირების საფუძველზე. პატარები აქტიურად შეუდგნენ მუშაობას, უფროსები კონსულტაციებს უწევენ პატარა ჟურნალისტებს. უკვე რამდენიმე სიუჟეტია მომზადებული, რომელიც საკმაოდ პოპულარული გახდა ფეისბუქ გვერდის მიმდევრებისათვის.

სამოლაშქრეო-საინფორმაციო ტურიზმის სექტორი

სამოლაშქრეო-საინფორმაციო ტურიზმის სექტორი შეიქმნა 2019 წლის თებერვალში და მისი საქმიანობის სფერო განისაზღვრება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და კულტურული ძეგლების პოპულარიზაციით. ამ მიმართულებით სექტორმა წლის განმავლობაში შემდეგი აქტივობები განახორციელა: შეიქმნა სამოლაშქრეო-საინფორმაციო ტურიზმის ფეისბუქ-გვერდი #ესბაღდათიაYES, რომელზეც განთავსებულია ფოტოვიდეო მასალა სალაშქრო ტურებიდან, ბუნებრივი და კულტურული ძეგლების საარქივო და უახლესი ინფორმაციები; 2019 წლის მარტში მოეწყო პირველი ტური საირმის ხეობასა და შუქრი ნაკაშიძის ეთნოგრაფიულ მუზეუმში; 16 ივნისს ხარაგაულის ტურიზმის სამსახურთან ერთად მოეწყო ორდღიანი სალაშქრო ტური სოფელ ხანში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბაღდათელმა და ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა (25 მოლაშქრე). ტურის ფარგლებში დაათვალიერეს უძველესი ქვის საწნახელი, ჩანჩქერი „საქუხარა“. სამოლაშქრეო სექტორის წარმომადგენლებმა უმასპინძლეს ბაღდათთან დამეგობრებულ ქალაქ ლისომიცეს 15-კაციან დელეგაციას და დაათვალიერებინეს მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავი ადგილები; 29 ივნისიდან დაიწყეს პროექტი „რეპორტაჟი“ – #CreativeSKYE-WorldVision-თან ერთად

მოაწყეს ერთობლივი ტური უძველეს დიმნას ციხეზე. ახალგაზრდებს გააცნეს დიმნას ისტორია; 30 ნოემბერს თეა ქაშაკაშვილთან პარტნიორობით, ვახტანგ ჯიხვაძის მარანში – „შატო ფერსათი“ – გაიმართა ორიგინალური საღამო „ღვინო და კინო“. მრავალრიცხოვან სტუმარს აჩვენეს ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“, მოეწყო ღვინის სასმისების საგამოფენო კუთხე, ბაღდათელმა მეღვინეებმა წარმოადგინეს თავიანთი პროდუქცია და ღვინის დეგუსტაციასთან ერთად გაიმართა საინტერესო აზრთა ურთიერთგაცვლა ფილმისა და ქართული ღვინის შესახებ.

ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე

ნიჭიერი თაობა

ჩვენო ერთგულო მკითხველო, რუბრიკა „ნიჭიერი თაობა“ მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა თქვენთვის ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებული სტუდენტები გაეცნო. სიმართლე გითხრათ, ამორჩევა ნამდვილად რთული აღმოჩნდა, თუმცა აღნიშნული რუბრიკის რესპონდენტები უდაოდ გამორჩეულები, ნიჭიერები და წარმატებულები არიან. ახლა წლის ბოლო თვეა, არც ამჯერად ვუღალატებთ ჩვეულ წესს და კიდევ ერთ ასეთ ახალგაზრდას – ნანა ლაბაძეს გაგაცნობთ.

ნანა ლაბაძე ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველაში ცხოვრობს. მან 2019 წელს დაამთავრა როკითის საჯარო სკოლა და ჩააბარა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროექტსა თუ ღონისძიებაში მე-9 კლასიდან იწყება. ნანას თქმით, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მის პედაგოგებს, განსაკუთრებით კი ქ-ნ მაია აბდალაძეს. ჩვენი რესპონდენტი დიდი სიყვარულით საუბრობს მის თანადგომასა და მეგობრულ ურთიერთობაზე. „ის ჩემი არა მხოლოდ ხელოვნების მასწავლებელი, არამედ თითოეული წარმატებული ნაბიჯის ავტორია“, – აღნიშნა მან. 2014 წლიდან ნანა აქტიურად იყო ჩართული Youth2Georgia-ს სასკოლო კლუბის ფუნქციონირებაში. ის ამავე კლუბის ლიდერი გახლდათ. მუშაობდა ჯანსაღი ცხოვრების წესის, ხელოვნებისა და ეკოლოგიის მიმართულებით. ამ ორგანიზაციებმა საშუალება მისცა გაევლო ტრენინგები: თანასწორგანმანათლებლობა და ფასილიტაცია, სამოქალაქო ჩართულობა, გუნდურობა და ლიდერული უნარ-ჩვევები, გენდერული თანასწორობა და ა.შ. ეს ყოველივე მას პიროვნულ განვითარებაში დაეხმარა. 2015-2016 წლებში მონაწილეობდა პროექტ „საქართველოს მოხალისეში“, რომელიც ხორციელდებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით. 2016-2018 წლებში ჩართული იყო პროექტში „სკოლის ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერა მდგრადი და ეფექტური გადაწყვეტილებებისათვის“, იყო ბაღდათის ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების გუნდის წევრი. ამ დროის განმავლობაში ის დაინტერესებული იყო გარემოსდაცვისა და ეკოლოგიის საკითხებით. სწორედ ამან უბიძგა მონაწილეობა მიეღო „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიაში“. 2016 წლიდან ის სასკოლო კლუბის ლიდერი იყო. მან კლუბთან ერთად დაგეგმა 200-მეტი გარემოსდაცვითი აქტივობა, შექმნა 2 ტურისტული მარშრუტი, განახორციელა პროექტები, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები. 2018 წელს, „ნიკო კეცხოველის პროექტის“ ფარგლებში, სასწავლო ვიზით, ნანა ავსტრია-სლოვაკეთში იმყოფებოდა, სადაც საშუალება მიეცა გასცნობოდა არა მარტო ამ ქვეყნების კულტურასა და ღირსშესანიშნაობებს, არამედ სახელმწიფოს მიერ გადადგმულ რიგ პროგრესულ ნაბიჯებს ნარჩენების მართვისა და გარემოსდაცვის კუთხით. 2019 წლის 21 მარტს, ტყეების დაცვის საერთაშორისო დღეს, ნიკო

კეცხოველის სასკოლო პრემიის ფინალური ტური განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა. ფინალურ ეტაპზე სკოლა პირველ ადგილზე გავიდა, მან კი, როგორც სამინისტროს რჩეულმა, ერთი დღით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოზიცია მოირგო. ნანა მინისტრთან ერთად დაესწრო სამინისტროში გამართულ შეხვედრებს; მოისმინა ტყის ინვენტარიზაციის შედეგებზე ანგარიში; „მინისტრებმა“ შეხვედრა გამართეს აკვაკულტურის თემაზე, კერძოდ, ახალ კანონპროექტზე, რომელზეც სამინისტრო მუშაობს; დაათვალიერეს გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ლაბორატორია; ასევე მინისტრმა ღვინის ეროვნული სააგენტოს მუზეუმი და ენოთეკა აჩვენა ნანას და ქართული ღვინის კულტურისა და მევენახეობა-მეღვინეობის რვაათასწლიან უწყვეტ ისტორიაზე ესაუბრა. ნანას თქმით, ეს დღე მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან საშუალება მიეცა მინისტრამდე მიეტანა ის პრობლემური საკითხები, რომლებიც მის მხარეში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის კუთხით დგას. მას შემდეგ, რაც ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიაში ჩაერთო, ნანას ძალიან შეუყვარდა და მისთვის მნიშვნელოვანი გახდა გარემოს დაცვა და მასზე ზრუნვა. ამიტომ გადაწყვიტა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში ამ კუთხით გაეგრძელებინა. მან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარემოს დაცვის ინჟინერიასა და გამოყენებითი ეკოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. ნანა აპირებს გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან ურთიერთობას. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის მიზნით, სურს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით განახორციელოს სათემო აქტივობები. სამომავლოდ გეგმავს სწავლა საზღვარგარეთ გააგრძელოს, შემდეგ კი შეძენილი განათლებითა და გამოცდილებით დაუბრუნდეს მშობლიურ კუთხეს. ნანა მადლობას უხდის ყველას, ვისაც მის განვითარებასა და წარმატებაში წვლილი მიუძღვის.

აზა მაშანეიშვილი

ასურელი მამები

(იოანე ზედაზნელი, ისე წილკნელი, აბიბოს ნეკრესელი)

ქართული ქრისტიანობის ისტორიაში იყო ბევრი ღირსეული საეკლესიო პირი, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს სულიერი ცხოვრების განვითარებაში. ამათგან განსაკუთრებული ადგილი უკავია 13 ასურელ მამას. მათ საქართველოში შემოიტანეს სამონასტრო ცხოვრება, რითაც ხელი შეუწყვეს ქართული ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებას.

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის, სასანიდური ირანის გაძლიერებისა და 523 წელს ქართლში მეფობის გაუქმების ფონზე ძლიერდებოდა მაზდიანური სარწმუნოების გავლენა საქართველოში. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში VI საუკუნის შუა წლებში შემოდიან ასურელი მამები საქართველოში იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით.

მაინც სად გაჩნდა ბერმონაზვნური ცხოვრება და ვინ იყვნენ ეს წმინდანები?

„მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით, ასურელი მამები მოვიდნენ სირიიდან, რომელიც ქრისტიანობის უძველესი კერა იყო. სწორედ აქ II საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული. აქვე IV-V საუკუნეებში წარმოიშვა მონაზვნობა, განსაკუთრებით გავრცელდა განდეგილობა მისი უმკაცრესი ფორმებით. სწორედ ასეთი მკაცრი მონაზვნობა შემოიტანა ჩვენში 13-მა ასურელმა მამამ, თუმცა მათი რიცხვი შესაძლოა უფრო მეტი ყოფილიყო.

მაინც სადაურები იყვნენ ასურელი მამები? არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ სასულიერო პირების ნაწილი წარმოშობით ქართველები ყოფილიყვნენ და ისინი სხვადასხვა გზით მოხვდნენ სირიაში, რაც იმ პერიოდში სავსებით შესაძლებელი იყო.

როგორც უკვე ვთქვით, სულ 13 ასურელი მამაა ცნობილი, რომლებსაც გვარები მათი მოღვაწეობის ადგილების მიხედვით ეწოდათ: იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ისე წილკნელი, აბიბოს ნეკრესელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტმყოფელი, სტეფანე ხირსნელი, თათა სტეფანწმინდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი.

ჩვენ ამ სტატიაში მხოლოდ სამ მათგანზე ვისაუბრებთ, რადგან დეკემბერში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იოანე ზედაზნელს, ისე წილკნელსა და აბიბოს ნეკრესელს მოიხსენიებს.

25 დეკემბერი იოანე ზედაზნელის ხსენების დღეა. სწორედ ის შემოუძღვა საქართველოში ასურელ მამებს. წმინდა იოანე საკმაოდ პატარა იყო, როდესაც მონასტერში აღიკვეცა. მან სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო. თავისი ცხოვრებითა და სასწაულებით იოანემ საკმაოდ გაითქვა სახელი და მასთან უამრავი ადამიანი მიდიოდა. მან, როგორც განდეგილმა, ხალხის სიმრავლის გამო საჭიროდ ჩათვალა იქაურობას მოშორებოდა. წაიყვანა ზოგიერთი მოწაფე, ერთ მივარდნილ ადგილას ააშენა სენაკები და მოღვაწეობა დაიწყო.

გადმოცემის მიხედვით, იოანეს ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა მის მიერ არჩეულ 12 მოწაფესთან ერთად საქართველოში წამოსულიყო. ქართლში შემოსული წმინდა იოანე, ევლავიოს კათალიკოსის კურთხევით, დასახლდა იმ მთაზე, სადაც ადრე ზადენის კერპი იდგა, სწორედ აქედან წამოვიდა მისი წოდება ზედაზნელი.

წმინდა იოანემ სახელი საქართველოშიც გაითქვა. მასთან მოდიოდა უამრავი ადამიანი. ზოგს სურდა მისგან კურთხევა და ლოცვა მიეღო, ზოგიერთს დახმარება სჭირდებოდა, ნაწილი კი რჩებოდა და განდეგილურად ცხოვრობდნენ.

რაღაც დროის შემდეგ იოანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაგზავნა, რადგან ქრისტიანული სარწმუნოება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც განმტკიცებულიყო. ასე წარმოიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრები, როგორებიცაა: გარეჯი, იყალთო, ალავერდი და მრავალი სხვა. თავად იოანე ზედაზენზე დარჩა ერთ პატარა მღვიმეში და იქ განაგრძობდა მოღვაწეობას. ამ მთაზე წყარო არ მოიპოვებოდა და წყლის მოსატანად მის მოწაფეებს შორი მანძილის გავლა უწევდათ. წმინდა მამის ლოცვით მთის წვერზე წყარო აღმოცენდა, რომელსაც კურნების ძალა გააჩნდა.

სიკვდილის მოახლოებისას ღირსმა იოანე ზედაზნელმა მოწაფეები მოიხმო, აკურთხა და ანდერძად დაუტოვა, იმ მღვიმეში დაეკრძალათ, სადაც მოღვაწეობდა.

15 დეკემბერი ისე წილკნელის ხსენების დღეა, რომლის ცხოვრებაზეც ფაქტობრივად არავითარი წყარო არ გაგვაჩია.

იოანე ზედაზნელის წარდგინებითა და ავლავიოს კათალიკოსის კურთხევით, ისე წილკნის ეპისკოპოსად დაინიშნა. გადმოცემის მიხედვით, მას არ სურდა ეპისკოპოსობა, მაგრამ კათალიკოსსა და თავის მოძღვარს წინ ვერ აღუდგა.

წმინდა ისე წილკნელმა თავისი ფეხით მოიარა მისი საეპარქიო ტერიტორია. ახდენდა სასწაულებს, კურნავდა სნეულებს, არღვევდა საკერპოებს, ნათლავდა წარმართებს. სიკვდილის მოახლოებისას ისე წილკნელმა შეკრიბა მოწაფეები და ეკლესიის მსახურნი, დაარიგა ისინი, დალოცა და ეზიარა. ღირსი ისე წილკნელის ნეშტი დაკრძალულია წილკნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში.

აბიბოს ნეკრესელი 13 ასურელ მამათაგან ერთადერთი იყო, რომელიც მოწამეობრივად აღესრულა და მისი ხსენების დღე არის 12 დეკემბერი.

წმინდა აბიბოსი სხვა ასურელ მამებთან ერთად VI საუკუნეში შემოვიდა საქართველოში. თავიდან ის იოანე ზედაზნელთან ერთად იყო ზადენის მთაზე, მაგრამ შემდეგ, წმინდა იოანესა და კათალიკოს ევლავიოსის კურთხევით, წმინდა აბიბოსი ნეკრესში ჩავიდა და მოციქულეობრივი ცხოვრება დაიწყო, რასაც ნეკრესის საეპარქიოს დაარსება მოჰყვა.

მაზდეანობა, იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობა ყველაზე მეტად სწორედ აქ, ნეკრესის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ამას მოწმობს ნეკრესის ნაქალაქარის აღმოჩენაც. აბიბოს ნეკრესელი დაუღალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებში, დაბებში და ჭეშმარიტებას უქადაგებდა ქართველებს.

ერთხელ წმინდა მამამ მოგვების თვალწინ ცეცხლს წყალი გადაასხა და ჩააქრო, რადგან სპარსელები ქართველებს ცეცხლის თაყვანისცემას აიძულებდნენ. მოგვებმა წმინდა აბიბოსი შეიპყრეს, საშინლად აწამეს და ცოცხალ-მკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს. ქართველი მორწმუნეების სურვილი იყო, რომ წმინდა მამა საპყრობილიდან დაეხსნათ, მაგრამ აბიბოსმა ამაზე უარი განაცხადა.

მღვდელმოწამემ მაზდეანებს მხოლოდ შიო მღვიმელთან შეხვედრა სთხოვა, რაზეც სპარსელები დათანხმდნენ. წმინდა მამებმა ერთმანეთი მოიკითხეს და ერთად ილოცეს. ამის მერე მღვდელმოწამე რეხში ჩაიყვანეს, სადაც იმ დროს იმყოფებოდა მარზაპი.

ბევრი თხოვნისა თუ მუქარის მიუხედავად, წმინდა აბიბოსმა მაინც არ უარყო ქრისტიანობა. ის სასტიკად აწამეს, თავი ქვით გაუტეხეს, მისი ცხედარი ქალაქგარეთ გაათრიეს, უპატრონოდ დააგდეს და ქართველ მორწმუნეებს რომ არ მოეპარათ, მცველები მიუჩინეს. რეხის მღვდლებმა და ბერებმა მოახერხეს ცხედრის ხელში ჩაგდება და სამთავისის მონასტერში დაასვენეს, ხოლო ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის დროს მისი უხრწნელი ნაწილები მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენეს.

აი, ასეთი იყო ასურელ მამათა ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოში. მათ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქართული ეკლესიის განვითარება- გაძლიერებაში. ასურელი მამების დაწყებული საქმეები გააგრძელეს ისეთმა დიდმა სასულიერო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ ხანძთელი, არსენ II კათალიკოსი, იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელები და სხვა ბევრი ღირსეული მამა.

სწორედ 13-მა ასურელმა მამამ დარგო ის ნაყოფი, რომელზეც დღევანდელი ქართული ქრისტიანული ეკლესია აღმოცენდა.

ჯუანშერ გეგეშიძე

მახნიდან ღვინის ქახხანამდე

დასაწყისი „ჩემი გაზეთი“ №5 (42)

მალე ვარციხის ღვინის ქარხანა დასავლეთ საქართველოში მეღვინე სპეციალისტების მოსამზადებელ სამჭედლოდ იქცა. აქ მუშაობდნენ და მოღვაწეობდნენ წარმოების ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები: ვახტანგ ბარბაქაძე, რაისა ბიბილეიშვილი, დავით ბოკერია, შოთა გიორგაძე, დავით გუმბერიძე, რომან დარჩია, იუზა ებანოიძე, კოსტია ენდელაძე, ნოდარ და გურამ იოსელიანები, თენგიზ კანდელაკი, გივი და ნადია კალანდაძეები, ოთარ კიკვაძე, პავლე კოხოძე, კუკური კორძახია, ოთარ ლომინაძე, ჯიმშერ ლომინაძე, ჟორა მაჭავარიანი, გურამ მოსიძე, ვასილ და კუკური ნიკოლაიშვილები, გედე ჟრენტი, ლადო რამიშვილი, ამბროსი სანიკიძე, ჯემალ საყვარელიძე, ავთანდილ ტაბატაძე, ლეო ფუტკარაძე, გურამ ფახურიძე, ზამირა ქოჩიაშვილი, შოთა ყუბანეიშვილი, ჟორა ცუცხვაშვილი, ლილი ჭეიშვილი, კოტე ჭოხონელიძე, შალვა ჭუმბურიძე, ოთარ ჭანუყვაძე, ვალერიან ჯინჭარაძე, ირაკლი ჯავახია და სხვა.

მეღვინე ოსტატებს მხარში ედგნენ ქარხნის მუშებიც, რომლებიც თავიანთი პრაქტიკული გამოცდილებით კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ ქართულ მეღვინეობას. ესენი იყვნენ: თეოფილე ტალახაძე, ტარასი გუმბერიძე, სერაპიონ ყიფიანი, ვანო ხვიჩია, მინაგო ხარაბაძე, ირაკლი გოგლიჩიძე, ტატე ხუციაიძე და სხვა.

1937 წელს „სამტრესტის“ მიერ გათვალისწინებულ იქნა საქართველოს ღვინის ქარხნებში ჩამოყალიბებულიყო ღვინის წარმოების ტექნოქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლის პირველი კატეგორიის ორი ლაბორატორია: ერთი – წინანდალში, ხოლო მეორე – ვარციხეში.

„სამტრესტის“ მმართველობამ კათედრის რეკომენდაციით ვარციხეში ლაბორატორიის გამგედ დანიშნა ახალგაზრდა სპეციალისტი დავით ნაცვლიშვილი, რომელიც 1928 წელს ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შეუდგა მუშაობას.

დავით ნაცვლიშვილმა იმთავითვე გამოიჩინა თავი როგორც უნარიანმა და ნიჭიერმა სპეციალისტმა. იმ დროს ვარციხის ღვინის ქარხანაში მთავარ მეღვინედ მუშაობდა განთქმული ოსტატი ავქსენტი შამუგია. დავით ნაცვლიშვილმა უფროს კოლეგასთან ერთად პირველად მთელ საქართველოში დაიწყო პორტვეინის ტიპის ღვინის „დიმის“ თერმული დამუშავება, ხოლო, როცა ა. შამუგია ბოლნისში გადაიყვანეს მთავარ მეღვინედ, მის მაგივრად დანიშნეს დავით ნაცვლიშვილი.

ვარციხის ღვინის ქარხნის ტერიტორიას 220 ჰა ეჭირა, აქედან ძირითადი ნაწილი ვენახის ზვრებს ეკავა. გაშენებული იყო როგორც ადგილობრივი ჯიშები, ისე ევროპული. ქარხანა ამუშავებდა თავისი ვენახიდან მიღებულ ყურძენს, აგრეთვე მაიაკოვსკისა და ვანის რაიონებიდან მიღებულ მასალას, ვიდრე ამ რაიონებმა საკუთარი მარნები არ გახსნეს და 1942 წელს ცალკე ერთეულებად არ ჩამოყალიბდნენ. ქარხანა ყოველწლიურად მის პუნქტებთან ერთად ამუშავებდა 5000 ტონა ყურძენს. მაიაკოვსკისა და ვანის ღვინის ქარხნების გამოყოფის შემდეგ ვარციხის ღვინის ქარხანა ძირითადად ამზადებდა ორდინალური მშრალი ღვინის მასალას. ყოველწლიურად იხდებოდა აგრეთვე 3000 დეკალიტრამდე კონიაკის სპირტი და 1000 დეკალიტრამდე ნედლი სპირტი, მზადდებოდა ღვინის სიმჟავე, რომელსაც „სამტრესტის“ სისტემაში, თბილისის საწარმოო კომბინატის შემდეგ როგორც ხარისხით, ისე გამომუშავებით პირველი ადგილი ეკავა. შეიცვალა ტექნიკური აღჭურვილობაც. შეძენილი და დადგმული იქნა თანამედროვე ტექნიკის ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები, აშენდა ახალი საამქროები და ფართო მოცულობის პროდუქციის სათავსოები. თუ 1946 წელს ქარხანას რკინა-ბეტონის ბუტებისა და მეტალის ცისტერნების სახით ჰქონდა 75 000 დეკალიტრი, ხოლო სარდაფის განყოფილებებში ღვინის შესანახი სათავსო 33 ათასი დეკალიტრი, რკინა-ბეტონის ბუტები და მეტალის ცისტერნები ერთდროულად იტევდა 562 ათას დეკალიტრს, ხოლო სარდაფებში ეტეოდა 160 ათასი დეკალიტრი სითხის მოსათავსებელი ტარა.

1976 წელს აშენდა და უკვე ექსპლოატაციაშია თანამედროვე ტიპის ყურძნის მიმღები განყოფილება, რომელიც 5000 ტონა ნედლეულზე იყო გაანგარიშებული.

შეიცვალა თვითონ ქარხნის საწარმოო სტრუქტურაც. თუ 1961 წლამდე ქარხანას საკუთარი ვენახის ზვრები ჰქონდა და ერქვა ვარციხის მევენახეობა-მეღვინეობის მეურნეობა, 1961 წელს მას ვენახის ფართობი გამოეყო (ცალკე შეიქმნა ვარციხის მევენახეობის მეურნეობა) და დამოუკიდებელ ქარხნად ჩამოყალიბდა, ხოლო 1970 წლიდან „სამტრესტის“ მაიაკოვსკის ქარხანათა სამართველოში გაერთიანდა.

შუქრი ნაკაშიძე

გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში

სპორტული ამბების მიმოხილვა

2019 წელი ბაღდათელი სპორტსმენებისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტსმენებმა არაერთ ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობას უფასოდ ასწავლიან და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გახდეს ამ ცენტრის აღსაზრდელი.

გთავაზობთ მიმდინარე წელს მიღწეულ შედეგებს სპორტის თითოეულ სახეობაში.

12-14 მარტს ქალაქ ქუთაისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, სადაც ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში აღზრდილმა მოჭიდავემ ნიკოლოზ მშვილდაძემ მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა და ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა (მწვრთნელი გოგი ვაშაყმაძე).

12-14 აპრილს ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში გაიმართა საქართველოს და სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონის თეიმურაზ ვაშაყმაძის მეორე საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირი 2001-2003, 2007-2008 და 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონებიდან, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული სპორტსმენები. ტურნირის შედეგად ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: I ადგილის მფლობელები გახდნენ ნიკოლოზ მშვილდაძე და ფრიდონ კარკაძე; II ადგილზე გავიდნენ თეიმურაზ კიკნაველიძე და საბა სახამბერიძე; III ადგილი კი საბა შანავამ, გიორგი გუმბერიძემ, გურამ გიგაშვილმა, ამირან კაპანაძემ და ალექსანდრე კოხოძემ დაიკავეს. 82 კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა და თეიმურაზ ვაშაყმაძის სახელობის თასი გადაეცა ნიკოლოზ მშვილდაძეს, რომელიც ასევე არის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ვიცე-ჩემპიონი. ტურნირის მიზანი იყო ბერძნულ-რომაული ჭიდაობის პოპულარიზაცია, მისი განვითარება, ასევე ახალგაზრდა სპორტსმენების წარმოჩენა, მათი დაახლოვება და რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატების შერჩევა.

13-15 მაისს ჩოხატაურში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ჩატარდა 2005-2007, 2008-2010 წლებში დაბადებულებს შორის. საერთაშორისო ტურნირზე ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი 12 მოჭიდავით იყო წარდგენილი და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია. პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ: ბურჯანაძე დათო, თოლორდავა გიორგი, თოლორდავა მერაბი, აბულაძე გიორგი და გუმბერიძე გურამი. მეორე ადგილზე გავიდნენ: ბურჯანაძე გიორგი, აბრამიშვილი გუგა და ფანგანი იგორი, ხოლო მესამე ადგილზე – ბურჯანაძე ემზარი და გიგაშვილი ამირანი. გარდა ამისა, ბაღდათელმა სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს საერთო გუნდურ ჩათვლაში. ტურნირი არასამთავრობო ორგანიზაცია „შალომ კლუბ გურიასა“ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპოტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის მიერ გაიმართა FILA–ს მოქმედი წესებით.

24-26 მაისს ქ. ამბროლაურში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის მოჭიდავეები. ეს ტურნირი წარმატებული გამოდგა ბაღდათელი სპორტსმენებისთვის. ტურნირის გამარჯვებული გახდა და პირველ ადგილზე გავიდა დათო ბურჯანაძე (მწ. კოტე გურგენიძე), მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა იგორ ფანგანმა (მწ. მევლუდ ჯიხვაძე), მე-3 საპრიზო ადგილზე გავიდნენ როლანდ ენდელაძე (მწ. მევლუდ ჯიხვაძე) და გიორგი ბურჯანაძე (მწ. კოტე გურგენიძე).

31 მაისსა და 1-2 ივნისს ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში გაიმართა ლევან ებანოიძისა და ავთანდილ გურგენიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობდნენ 2004-2005, 2007-2008 წლებში დაბადებული 355 სპორტსმენი როგორც საქართველოს რეგიონებიდან, ასევე სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან. ტურნირზე ბაღდათელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს – შედეგები ასე გადანაწილდა: I ადგილი დაიკავეს იგორ ფანგანმა, ლუკა რურუამ (მწვრთნელი: მევლუდ ჯიხვაძე) და დათო ბურჯანაძემ (მწვრთნელი: კოტე გურგენიძე), II ადგილის მფლობელები გიორგი ბურჯანაძე და გუგა აბრამიშვილი (მწვრთნელი: კოტე გურგენიძე) გახდნენ, ხოლო III ადგილზე ამირან მეფარიშვილი, გიორგი მიშველიძე (მწვრთნელი: მევლუდ ჯიხვაძე) და ოლეგ კბილაშვილი (მწვრთნელი: გოგი ვაშაყმაძე) გავიდნენ. ტურნირს ესწრებოდა ლევან ებანოიძე.

ბაღდათში ევროპის სპორტის კვირეული გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეები ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეობაში დაუპირისპირდნენ. ევროპის სპორტული კვირეული, საქართველოს მასშტაბით, 23 სექტემბერს დაიწყო და 30 სექტემბერს დაიხურა. ღონისძიებებში 25 000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ერთი კვირის განმავლობაში, კვირეულის ფარგლებში, ქვეყნის 60-მდე მუნიციპალიტეტში, სპორტის 30-მდე სახეობა და 100-მდე სპორტული აქტივობა იქნა წარმოდგენილი. ევროპის სპორტის კვირეული ევროკომისიის ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის მასშტაბით სპორტისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას, სპორტის მასობრიობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. ევროპის სპორტის კვირეული, რომლის დევიზია #BeActive (იყავი აქტიური), 2015 წლიდან ევროკავშირის წევრ და სპეციალურად შერჩეულ რამდენიმე არაწევრ ქვეყანაში ტარდება.

25-27 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლერი ხაბელოვის V საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ა.(ა).ი.პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის მოჭიდავემ ლუკა რურუამ და I ადგილის მფლობელი გახდა.

22-24 ნოემბერს ლანჩხუთში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ევროპის პრიზიორისა და მსოფლიოს თასის მფლობელის როინ დობორჯგინიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 2003-2004, 2005-2007, 2008-2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის. აღნიშნულ ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს ა. (ა). ი. პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის მოჭიდავეებმა (მწვრთნელები მევლუდ ჯიხვაძე, გია ჩხეტია, კოტე გურგენიძე). ტურნირი ჩატარდა 3 ასაკობრივ ჯგუფში: მსხვილიძე გიორგი – 23 კგ წონით კატეგორიაში II ადგილი; მამისეიშვილი ვანო – I ადგილი 42 კგ; მაშანეიშვილი ზურაბი – III ადგილი 75 კგ; მეფარიშვილი ამირანი – III ადგილი 75 კგ; ნატრიაშვილი გიორგი – II

გაგრძელება მე-5 გვ.

დასაწყისი 4 გვ.-ზე

ადგილი 26 კგ; ბურჯანაძე დათო – II ადგილი 29 კგ; ბურჯანაძე ემზარი – II ადგილი 35 კგ; ანაკიძე ნიკა – III ადგილი 48 კგ; ანაკიძე სანდრო – III ადგილი 48 კგ; თოლორდავა გიორგი – I ადგილი 38 კგ; აბრამიშვილი გუგა – II ადგილი 42 კგ; თოლორდავა მერაბი – III ადგილი 65 კგ.

8-13 დეკემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს თასი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დიდებს შორის. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი ცენტრის მოჭიდავეები. II ადგილის მფლობელი გახდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მათე სოფაძე (მწვრთნელი გოგი ვაშაყმაძე).

16-17 ნოემბერს, თბილისში გაიმართა ტრადიციული „საქართველოს თასის პირველობა კუნგ-ფუ-ში“. ტურნირში წარმატებულად იასპარეზეს ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრთან არსებული კუნგ-ფუს სექტორის მოსწავლეებმა (მწვრთნელი ნოდარ გიორგაძე). ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილი – დიმა გენელიძე 15 წლის; II ადგილი – გაბრიელ გურული 8 წლის; III ადგილი – ნოდარ ლაშხია 9 წლის.

16-24 თებერვალს ქ. ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ჩემპიონატი ჭადრაკში. 8, 10, 12, 14 და 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ამ ტურნირზე მონაწილეობას იღებდა ა.(ა).ი.პ. სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის მოჭადრაკეები. I ადგილი ჯაბა ადამიამ დაიკავა, II ადგილის მფლობელი კი ლილე გუმბერიძე გახდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 5 წლის ლუკა გოგავა მონაწილეობდა 8 წლის ასაკობრივ ჯგუფში და 48 მონაწილეთა შორის მე-7 ადგილი აიღო.

დეკემბერში ჩატარდა მირიან ენდელაძის სახელობის საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობას საჭადრაკო წრის აღსაზრდელები იღებდნენ. გამოვლინდა პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში. საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები ა.(ა).ი.პ. სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თასებით, მედლებით, სიგელებითა და ჭადრაკის დაფებით დაჯილდოვდნენ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ საჭადრაკო კლუბს ასევე ჭადრაკის ელექტრო საათებიც გადასცა.

დავით ყიფიანი

ბაღდათის სპორტსკოლაში 2019 წლის საუკეთესო ბაღდათელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

ხუთი საუკეთესო სპორტსმენი - მოჭადრაკე ჯაბა ადამია; მოჭიდავეები: ლუკა რურუა, იგორ ფანგანი, გურამ გიგაშვილი, დავით ბურჯანაძე და საუკეთესო მწვრთნელები - მევლუდ ჯიხვაძე (თავისუფალი ჭიდაობა) და თემურ ვაშაყმაძე (ბ/რ ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგსაძემ, მერის პირველმა მოადგილემ კახა ენუქიძემ, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნინო მშვილდაძემ და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნოდარ გიორგაძემ, საპატიო დიპლომებითა და ფულადი “წახალისებით” დაასაჩუქრეს. საჩუქრების გარეშე არ დარჩენილა საჭადრაკო კლუბი “ბაღდათი”, რომელმაც საქართველოს 20-გუნდა ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა.

თვიდან თვემდე

***

17 დეკემბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგსაძემ მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად სოფელ დიმში მცხოვრებ მამა სერაფიმე მსხვილიძის მრავალშვილიან ოჯახს ბარბარობის დღესასწაული მიულოცა და საჩუქრები გადასცა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ტრადიციულად ბარბარობის დღესასწაულს მრავალშვილიან ოჯახებს ულოცავს.

***

3 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღეს ბაღდათის მუნიციპალიტეტი კულტურული ღონისძიებით გამოეხმაურა. საღამოს შშმ პირებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მუნიცილაპიტეტის მერი არჩილ გოგსაძე და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე ესწრებოდნენ. ღონისძიების ბოლოს შშმ პირებს მუნიციპალიტეტის მერიამ სიმბოლური საჩუქრები გადასცა. თარიღი გაერომ შშმ ადამიანების უფლებების, თანასწორობისა და ღირსების პატივსაცემად 1992 წელს დააარსა. საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმს 2009 წელს მოაწერა ხელი.

***

13 დეკემბერს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ლიტერატურულ სალონში პოეტ ზაალ ებანოიძის საიუბილეო საღამო გაიმართა. შეხვედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით მოეწყო, რომელსაც პროფესორი დიმიტრი კორძაია ხელმძღვანელობდა. ღონისძიებაზე ხაზგასმით აღინიშნა ზაალ ებანოიძის უდიდესი როლი როგორც ქართული პოეზიის განვითარებაში, ასევე მთარგმნელობით საქმიანობაში. ღონისძიების ორგანიზატორებმა საზოგადოებას ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები ნათია ჭინჭარაული და გიორგი ხარაიშვილი გააცნეს.

ზაალ ებანოიძის საიუბილეო საღამოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე, მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები და საკრებულოს დეპუტატები დაესწრნენ.

***

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკასხიდში ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია დასრულდა. IX საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენითი სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-ს მხარდაჭერითა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა. ტაძრის კურთხევა 2 აგვისტოს არის დაგეგმილი. წირვა-ლოცვა კი ბერიეთის ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში უკვე ყოველ კვირას აღევლინება.

ღვინო და კინო „შატო ფერსათში“

„ღვინო და კინო“, დახვეწილი ურბანული პროექტია, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს საინტერესო მეღვინეებისა და ღვინის მოყვარულების წარმოჩენას ისეთი პოპულარული კუტურის ფონზე, როგორიცაა კინოკულტურა, ეს აზრი მაშინ გამიჩნდა, როცა გავაცნობიერე, რომ კლასიკური ღვინოების პრეზენტაციები და ღვინოზე საუბარი გაცილებით სხვა ელფერს შეიძენს, თუ ხელოვნების მოყვარული ადამიანები და ღვინო უფრო მყუდრო და სასიამოვნო და პოზიტიური შინაარსის გარემოში შეხვდებიან ერთმანეთს. აი, ასე გაერთიანდა ჩემს ტვინში ღვინო და კინო. საგულდაგულოდ ვარჩევდი ადგილს ამ პროექტის განსახორციელებლად... და რადგან ურბანულ პროექტად მქონდა ჩაფიქრებული, პირველი შერჩეული ლოკაცია, რა თქმა უნდა, დედაქალაქი იყო, თუმცაღა ვახტანგ ჯიხვაძის „შატო ფერსათში“ სტუმრობის შედეგად შევცვალე არჩევანი, რატომ თბილისი და არა ჩემი ბაღდათი, რომელიც ისედაც ღვინის აკვანია?

იდეა ამ სიტვების ავტორმა თეა ქაშაკაშვილმა ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში გაახმოვანმა და ერთობლივი ძალისხმევით, „შატო ფერსათში“ მართლაც სასიამოვნო და დასამახსოვრებელი საღამო იხილა მრავალრიცხოვანმა სტუმარმა.

მოკლედ, იყო ღვინო, იყო კინო – ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“, ღვინო – ციცქა და მერე ბევრნაირი.

„მე ასე მჯერა, რომ ღვინო რომ არ იყოს, საქართველოც არ იქნებოდა... ღვინო კალიფორნიაშიც ბლომად იწურება, მაგრამ იქ იმას არ ნიშნავს, რასაც აქ. ღვინო მარადიულია და მასში მთელი ქვეყნის პოვნა შეიძლება, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“ – ჭურის მოხდა აკა მორჩილაძის ამ „ნააზრევით“ დამშვენდა.

გარეთ იყო წვიმიანი, მოქუფრული და ნაღვლიანი; შატოში კი, დარიანი (გიზგიზებდა ბუხარი), ღვინიანი, ფილმიანი და ღიმილიანი საზოგადოება და ფილმის მე-13 წუთის საწყის წამებში აღმოჩენილი წარსული – 1966 წელს მაიაკოვსკის რაიონის მეცხოველეებს გეგმა გადაჭარბებით შეუსრულებიათ.

ოთარ იოსელიანი გვირჩევს – არ დალიოთ 49 „ბოჭკის“ ღვინო, ბაღდათურებს დაეწაფეთ, ბაღდათური ღვინოები კი, მრავალად წარმოაჩინეს საღამოზე მოწვეულმა ბაღდათელმა მეღვინეებმა.



2020 წელი

იანვარი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

თებერვალი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	

მარტი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

აპრილი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

მაისი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

ივნისი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

ივლისი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

აგვისტო

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

სექტემბერი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

ოქტომბერი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ნოემბერი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

დეკემბერი

ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და
კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის" გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, აზა მაშანეიშვილი,
ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში"